



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გემო ბოლნისი



გემო ბოლნისი, ძვ. ნასოფლარი, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ბოლნისისწყლის (ფოლადაურის) ხეობაში, ბოლნისის სიონის გემოთ. საცხოვრ. შენობათა ნანგრევებს შორის, ერთმანეთისგან 2-3 კმ დაშორებით, დგას 2 პატარა ერთნავიანი ეკლესია. ერთი მათგანი ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. აქვს ორი შესასვლელი – დას-იდან და სამხრ-იდან. დას. შესასვლელის

თავზე ჩასმულ ღია მწვანე ფერის ქვაზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ბოლნელმა ეპისკოპოსმა იოსებ რევიშვილმა 1651 ააშენა ეკლესია ყიზილბაშთაგან განადგურებულ სოფ. ზ. ბ-ში. წარწერაში მოხსენიებულია კიდევ ორი განადგურებული სოფელი – ახოთი და თალია. მეორე ეკლესია უფრო პატარა და უხეშად ნაწყობია. მის დას. ფასადში ჩართულია მოჩუქურთმებული ქვები.

ლიტ.: Ч у б и н а ш в и л и Г. Н., К вопросу о местонахождении трех Болнисы, წგ.: Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970.

---